

მიზანი — სპორტაშუა ზღვის თაგაშუა მონაწილეობა!

ამ რამდენიმე თვის წინათ საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა, რესპუბლიკის სპორტსახელმძღვანელო და „ლელოს“ რედაქციამ მიიღო საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტის თავმჯდომარის გ. ახვლედიანის წერილი, რომელშიც ვკითხულობთ: „ათენში გამოცხადდა, რომ 1991 წლის 28 ივნისიდან 12 ივლისამდე ჩატარდება ხმელთაშუა ზღვის მორიგი თამაშები. საქართველო ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყანაა. უფროსობით, დადგა დრო საქართველომ განაცხადოს აღნიშნულ თამაშებში დასაუბრებლად მონაწილეობის სურვილი. სავალუტო სახსრები სპონსორების მეშვეობით გამოჩნდება. ჩვენს პალატას შეუძლია გახდეს ერთ-ერთი სპონსორი. ჩვენ გვაქვს იმის შესაძლებლობაც, ვკისრით ერთ-ერთი ორგანიზატორის ფუნქცია. თუკი ფართოდ გაიშლება საქართველოს სპორტსმენების მსოფლიო არენაზე გახვდის კამპანია... დოკუმენტი, რომელიც ხმელთაშუა ზღვის თამაშების საორგანიზაციო კომიტეტს ეგზავნება. ამ დღეებში შედგა. გუშინ კი მას ზუსტი მოაწერეს. აქვე გთავაზობთ გასაგზავნი წერილის ასლს და მის ქართულ თარგმანს.

Organizing body of Mediterranean
Sport Games - 1991

Dear Sirs,

We have the honour to inform you, that the Georgian SSR, being a sovereign Soviet Republic, on the 6 of october, 1989, established the National Olympic Committee. The main aim of the newly established Olympic Committee is further promotion and wide participation of georgian sportsmen in the international olympic movement.

Sport history of Georgia is well-known. The georgian sportsmen took part in the Olympic Games since 1952 and have won 28 golden, 22 silver and 34 bronze medals. Altogether in the national teams of the USSR there performed 131 sportsmen of Georgia. In Seoul Olympics 16 Georgian sportsmen won 12 medals of different quality.

Besides, the georgian sportsmen often take part in different international competitions - World and Europe championships, other international tournaments.

At the same time, the sport organizations of Georgia have desire to embroadden their contacts with sport organizations of several countries. One of such possibilities we see in participating in the Mediterranean Sport Games - 1991 in Athens. As it is known, Georgia is washed by the waters of Black sea, which, in its turn, belongs to the basin of Mediterranean sea.

In this connection, the State Department of Sports and the National Olympic Committee of Georgia kindly ask you to consider the possibility of the Georgian delegation's participation in the Mediterranean Games - 1991.

The Georgian SSR Chamber of Commerce and Industry and other organizations are ready to render the financial sponsorship to this measure.


If the more detailed discussion of this question is necessary, we are ready to send our official delegation at any time suitable for you.

Please, let us know your answer by telexes 212286 RING SU, 212183 INTER SU, telefax (8832) 235760, or on address:


Chairman Nougzar Endeladze, State Department of Sports, Chavchavadze avenue 49-a, Tbilisi, USSR, 380062.

With respect,


Chairman of the State
Department of Sports

 N. ENDELADZE

President of the National
Olympic Committee

 N. GAPRINDASHVILI

President of the Georgian
SSR Chamber of Commerce
and Industry

 G. AKHVELIDIANI

თანადგობა ბრძოლა

1989 წლის 24 აგვისტოს „გაზეთმა „ლელომ“ გამოაქვეყნა წერილი ჯაბუკი სპორტსმენის გიორგი რთველიაშვილის ტრაგიკულ ბედზე. ამ სპორტსმენმა პიდაბის დროს მიიღო მძიმე ტრავმა — კისრის მალე ბის მოტეხილობით და დღემდე უძრავად არის მიჯაჭვული საწოლს.

მთელმა საზოგადოებამ განიცადა ეს ამბავი. მათ შორის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაწესებულება უი 123/34-ის პირადმა შეზღუდვებამ და სპეცკონტინგენტმა.

იმთავითვე „ლელოს“ პუბლიკაციის პასუხად, რთველიაშვილის დახმარების მიზნით, სპორტულმა სექციამ სასწრაფოდ შეაგროვა 1085 მანეთი. იმ დღიდან მოყოლებული დაწესებულების ადმინისტრაციამ უმეტესწილად არ სტოვებს გიორგი რთველიაშვილს.

ახლა, როცა შევითვით, რომ სპორტსმენის განკურნება შესაძლებელია მხოლოდ საზღვარგარეთ, დაწესებულების პირადმა შეზღუდვებამ და სპეცკონტინგენტის გარკვეულმა ნაწილმა გიორგი რთველიაშვილს 3 მისი გაუსხნა ანაბრის წინააღი 3000 მანეთზე.

სხვა მსურველებს თანხა შეუძლიათ შეიტანონ შემდეგ მისამართზე: თბილისი, გლდანის რაიონის ბინსოცდანიკი 000164101 ამავე რაიონის შემხვეული ბანკის 8323/0168-ის გიორგი ვასილის ძე რთველიაშვილის ანგარიშზე: № 22587.

ჯანსაღი პარალიკი, დაწესებულების უფროსის მოადგილე.

პონორარი გთხოვთ გ. რთველიაშვილის ანგარიშზე გადარიცხოთ.

სპორტაშუა ზღვის 1991 წლის სპორტული თაგაშუა სპორტსმენთა კომიტეტის გენერალური

პატივცემული ბატონო.

პატივი გვაქვს შეგატყობინოთ, რომ არის რა სუვერენული რესპუბლიკა, რომელიც შედის სსრ კავშირის შემადგენლობაში, საქართველოს საბჭოთა სოციალისტურმა რესპუბლიკამ 1989 წლის 6 ოქტომბერს ჩამოაყალიბა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი. ახალშექმნილი საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი თავის ძირითად მიზნად ისახავს საქართველოს სპორტსმენების ფართოდ ჩაბმას საერთაშორისო ოლიმპიურ მოძრაობაში.

საქართველოს სპორტული ისტორია კარგადაა ცნობილი. მონაწილეობენ რა ოლიმპიურ თამაშებში 1952 წლიდან, ქართველმა სპორტსმენებმა მოიპოვეს 28 ოქროს, 22 ვერცხლისა და 34 ბრინჯაოს მედალი. სულ, ოლიმპიურ თამაშებში, სსრ კავშირის ნაკრები გუნდების შემადგენლობაში. მონაწილეობა მიიღო საქართველოს 131-მა სპორტსმენმა. ბოლო ოლიმპიადებზე, სეულში, საქართველოს სპორტსმენებმა (16 კაცი) 12 მედალი მოიპოვეს.

საქართველოს სპორტსმენები ხშირად მონაწილეობენ სხვადასხვა საერთაშორისო ასპარეზობებში — მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების და თასების გათამაშებებში, საერთაშორისო ტურნირებში.

ამასთან ერთად, საქართველოს სპორტულ ორგანიზაციებს სურვილი აქვთ გაფართოვონ თავიანთი კონტაქტები სხვადასხვა ქვეყნების სპორტულ ორგანიზაციებთან. ერთ-ერთ ასეთ შესაძლებლობას ჩვენ ვხედავთ 1991 წლის ხმელთაშუა ზღვის სპორტულ თამაშებში მონაწილეობაში, რომელიც ათენში გაიმართება. როგორც ცნობილია საქართველო შავი ზღვის პირას მდებარეობს, რომელიც თავის მხრივ, ხმელთაშუა ზღვის აუზში შედის. ამასთან დაკავშირებით, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი და საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტი გთხოვთ

განიხილოთ საქართველოს სპორტული დელეგაციის 1991 წლის ხმელთაშუა ზღვის სპორტულ თამაშებში მონაწილეობის შესაძლებლობის საკითხი. თამაშებში საქართველოს სპორტსმენების გამოსვლების ფინანსური სპონსორობისთვის მზად არიან რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატა და სხვა ორგანიზაციები.

ამ საკითხის უფრო დეტალურად განხილვის საჭიროების შემთხვევაში ჩვენ მზად ვართ გამოვავაზოთ ჩვენი დელეგაცია თქვენთვის ხელსაყრელ ნებისმიერ ვადებში. გთხოვთ თქვენი გადაწყვეტილება შეგვაცუოთ. თქვენთვის 212286 „რინგ“ სუ. 212183 ინტერ სუ. ტელეფაქსით (8832) 235760 ან წერილით შემდეგ მისამართზე: 380062, ქ. თბილისი, საქართველო, სსრ კავშირი, ქვეყნის პრესაქტი 49-ა, საქართველოს სსრ სპორტსახელმძღვანელო.

პატივისცემით

საქართველოს სსრ სპორტსახელმძღვანელო თავმჯდომარე ნ. ანდელაძე.

საქართველოს ეოკ-ის პრეზიდენტი ნ. გაპრინდაშვილი.

საქართველოს სსრ სსპ პრეზიდენტის თავმჯდომარე ბ. ახვლედიანი.


საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ

12 ივლისი, ხუთშაბათი, 1990 წ.

№180 (10 299) • ზანი 3 კაპ.

გამოცემის 1934 წლის 13 აპრილიდან



საქართველოს სპორტსახელმძღვანელო

გადღობით და... საყვადურით


ამ დღეებში საქართველოს სპორტსახელმძღვანელო უკვე დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად, კვლავ შეიკრიბნენ სპეციალისტები სხვადასხვა პრობლემების განსახილველად. მათ ამაყრად მშვილდოსნობისა და ფარიკაობის მდგომარეობა განსაჯეს.

პირველ სახეობას სულ ოციოდ წუთი დაეთმო. მეორეზე კი მთელ სამ საათს ელაპარაკეს. ამას, ცხადია, თავისი მიზეზები ჰქონდა: მშვილდოსნობა, უფრო ზუსტად კი მოსიარული გოგონები, ბოლო ხანს დიდ წარმატებებს აღწევდნენ და სხდომის მონაწილეობა აღნიშნული ოპერატიულობით აღიარეს ამ სახეობის სპეციალისტთა მუშაობის სისწორე და შედეგად. ის, რასაკვირველია, სიტყვიერადაც გამოთქვას, აღნიშნეს, რომ საოცრად მწირი მატერიალური ბაზის მიუხედავად (თბილისში ერთი. ზეირიანი სასპორტო არ არის, დეფიციტია მშვილდო და ისარი...), მშვილდოსნობა გოგონებმა თავიანთი ენერგიული მწვრთნელების ხელმძღვანელობით პირდაპირ საკვირველ შედეგებს მიიღწიეს, თან ისეთ ასაკში, როდესაც დიდ გამარჯვებებზე ფიქრი აქამდე ძალზე ნაადრევად ითვლებოდა. სახელმწიფო მწვრთნელმა ამ სახეობაში ლაშა მკვათაძემ განაცხადა, რომ მარტო გოგონებს შორის კი არა, უკვე 14-16 წლის ჯაბუკებშიც გამოჩნდნენ პერსპექტიული მსროლელები და მათგანაც უახლოეს მომავალში სასიხარულო შედეგებს მოველოთ... მოკლედ, მშვილდოსნობის სპეციალისტები მადლობით გაისტუმრეს დარბაზიდან.

შემდეგ კი გაიმართა ხანგრძლივი, მწვავე კამათი ფარიკაობის მდგომარეობაზე, რომელსაც, დამსწრეთა აღიარებით, ძალიან მძიმე შეიძლება ეწოდოს. ამ სახეობაში საქართველოს სახელმწიფო მწვრთნელმა **გოდერძი მახარაძე** ესეც თქვა:

— „საბჭოთა კავშირის წლებად დღე ჩემპიონატში ჩვენმა ხმლით მოფარაკეობდნენ წინასწარ გათვალისწინებული მესამე ადგილის ნაცვლად. ასევე ცუდი მდგომარეობა გვაქვს დანით ფარიკაობაში. კიევში ჩვენმა სამმა სპორტსმენმა შესაბამისად 71-ე, 95-ე და 102-ე ადგილები დაიკავა. გოგონებიდანაც საუკეთესო მხოლოდ 27-ე ადგილზე გავიდა. მათ შორის აღარც არიან უფროსი ასაკის სპორტსმენები (როგორც კი უმალეს სასწაულებებში მოეწყობიან, მაშინვე თავს ანებებენ ვაჩიშს).“

იხ. გვ. 2 33



თბილისელმა მსოფლიოებმა არჩილ საბედაშვილმა და დავით მანჯგალაძემ გაიმარჯვეს საქართველოს თასის გათამაშებაში სასტენდო სროლაში. საბედაშვილი უძლიერესი იყო ადგილიდან სროლაში, ხოლო მანჯგალაძემ ყველას აჯობა მრგვალ სტენდზე ასპარეზობაში. პრიზები გათამაშდა აგრეთვე იენიორ მესტენდურეთა შორისაც. დაწვრილებით, ამ შეჯიბრების შესახებ „ლელოს“ უახლოეს ნომერში მოგიტყობათ.

ს უ რ ა თ ე ბ ე: არჩილ საბედაშვილი (ზევით); დავით მანჯგალაძე.

ნატო ნასარიძე, ხათუნა ძვინიშვილი და სხვები...

25-29 ივლისს ბარსელონის სასპორტო, იქ სადაც ორი წლის შემდეგ მშვილდოსნობა ოლიმპიური ტურნირი უნდა მოეწყოს, ევროპის მორიგი ჩემპიონატი ჩატარდება. საბჭოთა კავშირის ნაკრების მწვრთნელთა საბაზა უკვე დაამ-

ტყიკა შემადგენლობა, რომელშიც ორი ჩვენი თანამემამულეა შეყვანილი — ნატო ნასარიძე და ხათუნა ძვინიშვილი.

მათ გარდა ქალთა გუნდის ლიდერსა და იკავენ ტრასპოლელი ნატალია ვალევა და მოსკოველი

ლიუდმილა არჟანიოვა. ვაქთა ნაკრების შემადგენლობაში მოხვდნენ: დუშანელი ვადიმ შიკარიძე, მოსკოველი ვლადიმერ ეშევი, ხარკოველი სტანისლავ ზაბროდსკი და ულანუდელი ვალერი ლისნკო.

„ლელო“ შეიქმნა დასვა

გამოცემარება

ვინ „იპყრობს“ იპოდრომს?..

სპორტის ნებისმიერი სახეობის განვითარება დამოკიდებულია შესაფერისი ბაზის ქონება-არქონებაზე, მათ რაოდენობაზე, ხარისხზე. გამოწვევის არც საცხენოსნო სპორტია. ცხენოსნობისა და მეცხენეობის განვითარება იპოდრომის გარეშე წარმოუდგენელია. ეს ფაქტი არ არის საჭიროება, არც სურსათი.

რა მდგომარეობაა დღეს ჩვენს იპოდრომზე, რომელიც როგორც შედარებით სრულყოფილი სარბიელი, ერთდროულად მთელს რესპუბლიკაში? აღნიშნული პრობლემის ირგვლივ არაა ხანია მიმდინარეობს კამათი, როგორც საჯაროდ, პრესის ფურცლებზე, ასევე „ქულისებში“. შევეცდებით, როგორც საცხენოსნო სპორტის სპეციალისტმა და იპოდრომის საშინაო ცხოვრებაში ასე თუ ისე გაეცნობიერებულმა კაცმა, საკუთარი აზრი გამოვთქვა აღნიშნული საკითხის ირგვლივ.

თბილისის იპოდრომის დაარსების დღიდან (1955 წელი) ამ ტერიტორიაზე მდებარეობს საქართველოს სპორტსახეობის საცხენოსნო სპორტული ბაზა, სადაც საქართველოს ნაკრები გუნდები (ცხენოსნობისა და თანამედროვე ხუთციდლი) გადიან მომზადებას. ეს ბაზა კოორდინაციას უწევს რესპუბლიკაში ცხენოსნობის განვითარებას. ამგვარ დიდი მნიშვნელობის მქონე ორგანიზაციას არ გააჩნია არც ერთი საკუთარი თავი და იგი 35 წელია იჭარბა უნდის იპოდრომის დირექციას. რესპუბლიკაში აგრეთვე არ არსებობს დასუფრული საცხენოსნო მანქანი, გარდა იპოდრომის მანქანისა, რომელიც საქმად მთავრდება, გვაქვს მხოლოდ ერთი ყულის ცხენსამე, მწელი საშენი ცხენისათვის საჭირო მოვალეობა, ინვენტარი და საკვები. ერთი სიტყვით, პრობლემები იმდენად მრავალმხრივია, მათი გადაწყვეტა ერთ საგანგებო წერილში შეუძლებელია. ამგვარად ჩემი შეზღუდული მინდა გამოვთქვა „ლელო“ 28 ივნისის ნომერში გამოქვეყნებულ წერილზე „ჩვენი ფუნქციები გარკვეულია, საკითხები სხვა ორგანიზაციების საქმეა“. კერძოდ, არამართებულია მიმართა წერისსენებელი წერილის ავტორის მოსაზრება, თითქმის „იპოდრომზე

ცენტრალური სეზონი 6 თვეს გრძელდება, და ამდენად, წელიწადის უმეტეს დროს უზარმაზარი ტერიტორია პრაქტიკულად დაუტვირთვია“. ავტორი მოითხოვს „ლელოს“ მეშვეობით რესპუბლიკის მთავრობის წინაშე საკითხის აღძვრას, რათა იპოდრომის გერ დარჩენილ, მიუთვინებელ ტერიტორიაზე დამატებით გაიხსნას კოაპერატივები და ორგანიზაციები, თითქმის ისინი არ ეყოფა, რაც ამჟამად არის გახსნილი.

წერილის ავტორის პოზიცია რომ ზათილია, ამას აქვე დავუმატიებთ. 1. იპოდრომის ტერიტორიაზე, დღიდან მისი დაარსებისა, ფუნქციონირებს საქართველოს სპორტსახეობის რესპუბლიკური საცხენოსნო-სპორტული ბაზა, სადაც, როგორც აღვნიშნე, მზადდება გადიან საქართველოს ცხენოსნობა და თანამედროვე ხუთციდლი ნაკრები გუნდები. გარდა ამისა, წელიწადის ყველა დროში მეცხენეობენ ცხენოსნობის დამწყები და სპორტული და-ოსტატების ჩაღვები.

2. იპოდრომზე შექმნილია სახალხო განათლების ბაზა, სადაც და მოზარდთა საცხენოსნო-სპორტული სკოლა, სადაც ასევე წელიწადის განმავლობაში მიმდინარეობს კვალიფიკური ცხენოსნების მომზადება ნაკრები გუნდებისათვის;

3. ცენტრალური სეზონის დამატებით შეიძლება იპოდრომზე რჩებიან და სათანადო მომზადებას გადიან ყულის ცხენოსნობის განყოფილებები;

4. იპოდრომის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს საცხენოსნო ტურიზმისა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ჩაღვები;

5. მოქმედებს სამკურნალო პროფილაქტიკური კოაპერატივი „მუსტანგი“, სადაც, პირველად საბჭოთა კავშირში, დანერგულია რაბიოტრაპის სამკურნალო მეთოდი (სამკურნალო ცხენოსნობა). ამ კოაპერატივში იფუნქციონირებს მკურნალობა უტარდებით ბავშვებსა და მოზარდებს, რომლებიც დაავადებული არიან სქოროზით, ცერებრული დამბლით და სხვა დაავადებებით.

მოკლედ, თბილისის იპოდრომს არა აქვს თავისუფალი საათებიც კი, რომ შეიძლოს ათასგვარი სახისა და დანიშნულების კოაპერატივები. იპოდრომი უნდა ემსახურებოდეს მხოლოდ და მხოლოდ ცხენოსნობისა და მეცხენეობის განვითარებას. გაურკვეველია, ასე ძალუძალ რატომ „მოიწვევენ“ იპოდრომის მიწა-წყლის დასაყრდენად თვისობრივად სულ სხვა დანიშნულების ორგანიზაციები? ვისთვისაც ძვირფასია სპორტის ეს მართლაც ერთგული სახეობა და ვისაც მართლა სურს საქართველოში მეცხენეობისა და ცხენოსნობის აღორძინება, არ უნდა ცდილობდეს იპოდრომის არაღანიშნულებისამებრ გამოყენებას და მიწების მიტაცებას, პირიქით, ყველანაირად უნდა ამოუდგეს მხარში იპოდრომის დირექციას და ხელი შეუწყოს მას, რათა დაუბრუნდეს იპოდრომს თავისი ძირითადი ფუნქცია.

გერ დავეთანხმები „ლელოს“ იმავე ნომერში დაბეჭდილ კოლექტიური წერილის ავტორებსაც, რომლებიც გვთავაზობენ იპოდრომის ქალაქგარეთ გადართვას იმ მოტივით, თითქმის მსოფლიოს არც ერთ დიდ ქალაქში იპოდრომები ქალაქის ცენტრში არ არის განლაგებული. ეს შეზღუდვაც მცდარია, საზღვარგარეთ წასვლა არ არის საჭირო. საბჭოთა კავშირში იპოდრომები ქალაქგარეთ არ არის. მე შესვის იპოდრომის ახლოს მაცხოვრებელი ხალხის გასაჭირი და გულსტკივილი, ბუნებრივია, არავის არ სიამოვნებს ეს სიახლოვე, მაგრამ ერთი საქმის გამოსწორება, იპოდრომზე საინტერესო ნორმების სრული დაცვა და მეორე — იპოდრომის გადართვა თბილისის გარეთ, რაც დამლუპველი იქნება მეცხენეობის განვითარებისათვის.

რაც შეეხება საკანალიზაციო მიწებს, ისინი თვით იპოდრომის მიმდებარე სახლებიდან გამომდინარე მიღებულია, რომელიც იპოდრომზე გადიან და დაზიანების შემთხვევაში მათი შეკეთება სპეციალური საგარეო სამსახურის საქმეა და არა იპოდრომის ტერიტორიისა.

ჩემი დასკვნა ასეთია: რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ, საზოგადოების ხელმძღვანელობამ უნდა იღონოს იმისთვის, რათა გადააზრინოთ თბილისის იპოდრომი დალუპვას, დაუბრუნოთ მას თავისი დანიშნულება.

ალექსანდრე ღვინაძე, საქართველოს სპორტსახეობის საცხენოსნო-სპორტული ბაზის დირექტორი.



„ტურნი“ იპარათში

საბჭოთა კავშირის თანხ. მონათმფრინალი.

ქუთაისი. ხარაგბო მოედანი. 8 ივლისი.

„აია“ (ქუთაისი) — „ელმავალი“ (თბილისი) 18:7 (3:8).

„ბინა“ 5:1, ძაგნიძე; ე. ძაგნიძე, გეგუჩაძე, თ. ლიპარტელიანი (გაბრიელიძე), ზაზაშვილი; ტუაბაძე (მ. ხარაგბაძე), კიკნაძე; რეხიაშვილი, ტურაშვილი, თ. ლიპარტელიანი; ფხაკაძე, კაშია, თ. ლიპარტელიანი; ნაკუბია.

„ელმავალი“: საცერაძე; მანთიძე, მარჯანიშვილი, თაგაძე, ვაშაძე; ჩაღვლიშვილი, ზაზაშვილი; მარჯანიშვილი, ზაზაშვილი, კ. გიუნაშვილი; ნარმაშვილი, ზაღაძე, შაბოთიძე (კუხრაშვილი), გ. გიუნაშვილი; ლუღუშაური.

გუნდები უკანასკნელად თვე-ნახევრის წინ შეხვდნენ ერთმანეთს და თავდაუზოგავად იასპარეხეს. სათასო თამაში, ცხადია, იგივე იყო მოსალოდნელი.

რუსეთისა და უკრაინაში ორკვირიანმა „მოგზაურობამ“ ორივე გუნდი საკმაოდ დაღლია. ამიტომაც გამოითქვა ეჭვი, ისინი სრულ ძალით ვერ ითამაშებენ და შეზღუდულად ულახოთ გამოვა.

ამჟამად დარჩა — მეტი ქვემო გუნდთანაც იბრძოლეს და ლამაზად ითამაშეს.

„დასაწყისში“ „აია“ შეურია და ნუგზარ ძაგნიძემ საჯარიმოც გაიტანა. ქუთაისელებს არც სტუმრები ჩამორჩნენ და მალე ჩაღვლიშვილმა ისახელა თავი. ამის შემდეგ თამაშის ტემპი დაეცა — გუნდები დაციდან ამოქმედდნენ, ერთმანეთს შეტევის საშუალებას არ აძლევდნენ, ხელით თამაშს პოკინალებით მოქმედებდა აინაქს. ამ კომპონენტში მისაძინებელია კმოდ აღმოჩნდნენ მომზადებულნი — მათ კარგად გაართვის თავი. თინამიურ სიტუაციებში ბურთის „შენახვის“ პრობლემას და სანგებო-ხელელებს შეტევის განხორციელების საშუალება მისცეს, უმცა ამ უკანასკნელებმა ვერ შეძლეს ლელოს გატანა.

„ელმავალმა“ უპირატესობას სტატიკურ პოზიციებში მიაღწია, მაგ-

რამ ბურთი უკანა ხაზზე ვერ, ან დაგვიანებით აღწევდა; მართალია, უკანა ხაზის მერჯივად შეტევა თებზე ჩამოსათვლილი ეს კომბინაციები საგრძნობლად აძლიერებს უკანა და ქუთაისელებს.

მეორე ტაიმის დაწყებისთანავე ჩაღვლიშვილის მიერ წამოწყებული იერიში ჩართულ თავადეს, მარჯანიშვილს და საცერაძეს ღრუბლად მიეშველა ვაშაძე, რომელმაც ლელო გაიტანა.

„ელმავალმა“ უპირატესობის განმტკიცება გადაწყვიტა, მაგრამ მის ამის საშუალება არ მისცა ნუგზარ ძაგნიძემ, რომელიც ამ დღეს შეუდარებელი იყო. მან ზედინდელი საჯარიმო, შემდგომ კი, თითქმის მოედნის ცენტრიდან, ორი არეკლი გაიტანა, რითაც უზრუნველყო თავისი გუნდის გამარჯვება.

ძაგნიძესთან „პაქობაში“ „ელმავალი“ გამოცოცხლდა და ანგარიშითუცემელ შტურმზე გადავიდა. ათი წუთის განმავლობაში რკინიგზელები თავდავიწყებით უტყუებდნენ, ზედინდელ ორჯერ გაითამაშეს ხუთმეტრიანი საჯარიმო და შეარყიება, ერთხელ მიიტანეს კიდევ ბურთი ლელოს ხაზთან, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწიეს.

საბარტელის XIII ნომერი-ონაბი რაზმში

„ხათაფლი“ (წყალტუბო) — „ელმავალი“ (თბილისი) 8:27 (6:18)

„აიასთან“ შეხვედრის მეორე დღეს თბილისელი მორაგებები წყალტუბოს ეწვევნენ „ადგილობრივ“ „სათაფლიანთან“ სათამაშოდ.

„სათაფლი“ ახალგაზრდულ კოლექტივია, რომელშიც ძირითადად მოზარდები თამაშობენ, ასე რომ, ქვეყნის მეტად სასარგებლო იყო. მათ სასახლოდ უნდა ითქვას, რომ მისიანზე მეტოქეს ლელოს გაუტანეს — თავი გამოიჩინა რობერტ ტყეშელაშვილმა, გარდასახვა გამოიყენა კირიკილიძე.

„ელმავალი“ არ ჩაბრუნდა, გააზრებულად უტყუდა და აგრეთვე დასაწყისში შედგენილ მოქმედებაზე გარე ნახევარმცველი დიდი ჩაღვლიშვილი, რომლის ანგარიშზე ორი ლელო, ორი გარდასახვა და ერთი არეკლი მოკლდა. დანარჩენი ქულები გუნდის ლელოების წყალობით შეძინეს კახა გიუნაშვილმა, კუსრაშვილმა და მანოიშვილმა.

მშენებ რაბიშვილი

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა: 18 ივლისისათვის

„ა“ მშენებელი

	თ	მ	ფ	წ	ქ
„მომინო“	0	7	0	2	14
„აია“	6	6	0	0	12
„იმერეთი“	10	4	1	5	9
„აკაღმა“	0	3	1	5	7
სტუ	9	3	0	6	6
„შეგარდნი“	9	2	0	7	4

„ბ“ მშენებელი

	თ	მ	ფ	წ	ქ
„ახოციაცია“	10	8	0	2	16
„ელმავალი“	6	6	0	0	12
„გელათი“	9	6	0	3	12
„ზოგუნი“	8	2	0	6	4
„უნივერსიტეტი“	0	2	0	7	4
„ხათაფლი“	8	1	0	7	2

გაღლობით და... საყვადური

(დასასრული)

სპორტსკოლებიდან ბოლო ხანს ერთი პერსპექტიული მოფარაკვეც არ მიგვიღია. იქ ორდევმა ჩაღვლების დაკომპლექტების პრინციპი. მწვრთნელებს არაფერს არაფერს სთხოვს, ისინიც, თუ რესპუბლიკური შეგირდებზე რაიმეს მიაღწიეს, იმას სწავრდებიან და საკუთარი ტურნირებზე მათი მოწვევები პირდაპირ უსუსურად გამოჟყურებინან.

ხელაღ, როგორი ხარვეზებით გამოირჩევა მთლიანად ჩვენი მუშაობა. ერთდროულად სასიყვარულო მინდა ვთქვა, რომ ხმლით მოფარაკვეცთა კარგი გუნდი გვყავს. მას თვით მსოფლიო პირველობაზეც კი საუბრის ხუთეულში შეუძლია გასვლა. ეს მაშინ, როდესაც ამ დისციპლინაში სულ შეიძლება მწვრთნელი მუშაობს, დანაშაუთ ფარაკობაში კი — ოცდაათამდე...

გ. მანარაძის სიტყვას სათანადო გამოხატულება მოჰყვა. აღინიშნა, რომ თუქმა მოფარაკვეცთა გოგონები მარცხს მარცხზე განიცდიან, აბიტურიენტთა სპორტულ სიაში ზევარი მათგანი ხვდება. ეს კი მწვრთნელთა ანგარიშზეა მიუთითებს.

სპეციალისტებიდან ზოგიერთი ნასვამი კი გამოცხადებულია ვარჯიშზე. სპეციალისტთა შორის სრულიად გაქრა კონსერვაცია და ა. შ. მოკლედ, მწვრთნელებს მეტად სერიოზული ბრალდებები შეუყენეს, — თუქმა აღნიშნეს რამდენიმე კარგი სპეციალისტიც (მაგალითად ლ. ლაღანიძე, გ. მანარაძე, გ. ლორთქიფანიძე...).

— აქ ყველამ იცის, რა თავდადება მოითხოვს ფარაკობა, — თქვა მორის ხახვაძემ, სპორტსაზოგადოება „შეგარდნის“ უფროსმა მწვრთ-

ნელმა ფარაკობაში, — პირდაპირ თან უნდა გადაწყვეტა ზმირად მეცხრე და მეცამე ადგილებს შორის სულ ორტოსიდან მანძილი და, თუ დიდ ყურადღებას არ გამოიჩინე, მაშინ დარჩები მეცხრე ადგილზე. კიევში ყველა ასე თუ ისე მაღალი კლასის სპორტსმენს სპეციალისტთა მთელი ჩაღვნი ეზვია, ჩვენს გუნდს კი ერთადერთი გუნდამ ლორთქიფანიძე ახლდა. არადა, ერთ დროულ რჩევას შეუძლია სასიყვართელ შეატრიალოს საქმე.

შეგლომად მიმართა ისიც, რომ კიევში ქალთა სრული გუნდი არ წაიყვანეს. სხვებსაც ეფარაკავთ, გამოცდილებას მიიღებდნენ... ჩვენს ერთადერთ დარბაზს საფარაკავო კი ჰქვია, მაგრამ სინამდვილეში საფარაკავოს არაფერი უკავს. იარაღიც გვაკლია და ნიღბებიც. მაგრამ ყველაზე მთავარი, კიდევ ვიმეორებ, მონდობა და თავდადება...

შემდეგ სიტყვით გამოვიდა წარსულში ცნობილი მოფარაკვეც და ლეაშვილის სპეციალისტი აკაკი მეფთხიანი:

— ჩემი თვალწინ მოხდა ჩვენი ფარაკობის აღზევება და დაცემა. აქ ბევრი ამბობს, რომ ძველია ფარაკობა. მწვრთნელმა თვითონ უნდა ჩამოიკვას ნიღბი და ისე ეფარაკავოს მოწვევები. მაგრამ მე ბოლო ხანს რამდენჯერაც მივიღე დარბაზში, იქ ფარაკობის გარდა ყველაფერი ვნახე. ჩვენი მწვრთნელების კვალიფიკაცია 20 წლის წინანდელ დონეზე დარჩა. თუ საწვრთნელი პრაქსი არ გაუმჯობესდა, ისე არაფერი გამოვა.

ორმოცდაათი წლებში ქალთა ფარაკობა თითქმის სულ არ გვქონდა, მაგრამ სკოლებში წავიდეთ, ვიმუშავეთ და მოწვევები გამოვარჩიეთ. სულ მალე ამას შედეგებიც მოჰყვა...

აკაკი მეფთხიანს სხალსო განათლების სამინისტროს ფიზკულტურისა და სპორტის სამმართველოს უფროსმა მურთაზ მნათიშვილმაც აუბო მხარი. „მორჩენია ხუთი მწვრთნელი გვეყავდეს, რომლებიც გულიანად იმუშავენ“, — თქვა მან, — ვიდრე ოცი, რომელთაგანაც არაფერს მოელი...“ საერთოდ, მწვრთნელთა შტატების შექვეყნება და ჩაღვების შემცირება მართლაც მწვავე დისკუსია გაიმართა, მით უმეტეს, რომ ცნობილი გახდა — სპორტის ამა თუ იმ სახეობისთვის გამოყოფილი სახელმწიფო დოტაციები მცირდება. მართალია, ამ საკითხს კონკრეტული გადაწყვეტა ვერაინ მოუხახა, მაგრამ ყველათვის ალბათ ნათელი იყო, რომ იგი უახლოეს მომავალში ალტერნატიული გახდება.

სპორტსაზოგადოება „შეგარდნის“ მოფარაკვეცთა ცალკეულ წარმატებებს გაუსვა ხაზი მისმა თავმჯდომარემ ვაჟა შეზაძემ. მან აღნიშნა, რომ პროფკავშირთა საკავშირო ნაკრები სანახევრო ჩვენი სპორტსმენებით არის დაკომპლექტებული, ხოლო მსოფლიო უნივერსიტეტის ხმლით ფარაკობაში საქართველოს გუნდი გამოდიოდა საკავშირო ნაკრების სახელით...

კრებაზე შემამფთხებელი უწოდეს გათიშულობას სპეციალისტთა შორის (მათი შეკავშირების რამდენიმე ცდა წარუმატებლად დამთავრებულია), რაც ფარაკობაში დღემდე უჩვეულოდ ითვლებოდა, და მათ სამაგალითად ადრინდელი თბილისის სპორტსმენები დაუსახელეს. მოკლედ, სკა-ბაასი მართლაც ფარაკობის მდგომარეობას ზუსტად ასახავდა.

სტადიონის შედეგები შეაჯამა საქართველოს სპორტსახეობის თავმჯდომარემ ნუგზარ ენდელაძემ.



1996 წლის ოლიმპიური თამაშები უსათუოდ ათენში უნდა ჩატარდეს, მხოლოდ ათენში და არასდეს სხვაგან — ასეთია ბერძენი ზალხისა და მთავრობის სურვილი. სხვათა შორის, ამის თაობაზე ჰქონდათ საუბარი პრემიერ-მინისტრის კონსტანტინოს მიცოტაკისა და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს ზუან ანტონიო სამარანსს. მთავრობის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ საბერძნეთის სრული მორალური უფლება აქვს უმსაზღვროდ საიუბილეო ოლიმპიურ თამაშებს (როგორც ცნობილია, თანამედროვეობის პირველი ოლიმპიადი 1896 წელს ჩატარდა) და საგულდაგულოდ ემზადება კიდევ. მან სოკოს ხელმძღვანელებს აღუთქვა, რომ თამაშებს უმაღლეს დონეზე ჩაატარებს და

გერმანია ომეგობარა

აქამდე არახალ ყურადღებას მიაქცევს კულტურულ ოლიმპიადასაც. სამარანჩის აზრით, ბერძნების სურვილს წინ არაფერი უნდა აღუდგეს. სოკოს ხელმძღვანელი კმაყოფილი დარჩა ქვეყნის პრეზიდენტ კ. კარანაისთან საუბრითაც. ამაკარად იგრძნობოდა, — თქვა მან, — რომ ოლიმპიადის ათენში ჩატარების იდეას მხარს უჭერს არა მარტო ქვეყნის ხელმძღვანელობა, არამედ მთავრობის ყველა წევრი. საიუბილეო ოლიმპიადის ჩატარების სურვილი აქვთ, აგრეთვე, ატლანტას, ტორონტოს, ბელგრადის, მელბურნისა და მანჩესტერს. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი არჩევს საბოლოოდ გააფრთხილებს თავის შორივ სესიაზე, რომელიც სექტემბერში ტოკიოში გაიმართება.

საქართველოს თასზე

გამგზავნი რესპუბლიკის საფეხბურთო თასის გათამაშების მეტაქმედებში მონაწილეობის მქონე გუნდები შეხვედრები: „მზიური“ (გალი) — „მეგრული-1906“ (თბილისი) 5:1, „კოლხეთი“ (ხობი) — „ოდიში“ (ზუგდიდი) 1:1, „ბათუმი“ (ბათუმი) — „სანავარდო“ (სამტრედი) 2:1, „ივერია“ (ხაშური) — „გორი“ (რუსთავი) 0:2, „გურია“ (ლანჩხუთი) — „მარგვეტი“ (ხესტაფონი) 4:0, „ალაზანი“ (გურჯაანი) — „მერცხალი“ (ოზურგეთი) 2:1, „ლიახვი“ (ცხინვალი) — „მრეტი“ (თბილისი) 2:1, „სამგურალი“ (წყალტუბო) — „კახეთი“ (თელავი) 2:2 (პენალტებით — 3:0), „სამგურალი“ (ხორთაფალი) — „სიონი“ (ბოლნისი) 1:0, „ოკრიბა“ (ტყეშელა) — „არმაზი“ (მცხეთა) 3:0, „ცხუმი“ (სოხუმი) — „ამირანი“ (ოზურგეთი) 2:1, „სიხარული-90“ (გაგრა) — „მარტვი“ (თბილისი) 0:1, „მამული“ (დიდი ჭყონი) — „ლილა“ (გორი) 2:3, „იმერეთი“ (ზონი) — „ქუთაისი“ (ქუთაისი) 0:2, „ბეთლემი“ (ქედა) — „კოლ-

ხეთი-1913“ (ფოთი) 2:4. თბილისის გუნდების „კერწანისი“ და „იბერიის“ მატჩი 20 ივლისს გაიმართება. მერვედღიანულმა თამაშის უფლება მოიპოვეს: „ოდიში“, „ბათუმი“, „მზიური“, „გორი“, „გურია“, „მერცხალი“, „მრეტი“, „სამგურალი“, „სიონი“, „ოკრიბა“, „ცხუმი“, „ლილა“, „მარტვი“, „ქუთაისი“ და „კოლხეთი-1913“. მერვედღიანის პირველი შეხვედრები 13 ივლისს გაიმართება. გუნდები ასე დაწყვილდნენ: „მზიური“ (გალი) — „გურია“ (ლანჩხუთი), „ოდიში“ (ზუგდიდი) — „ბათუმი“ (ბათუმი), „ოკრიბა“ (ტყეშელა) — „კოლხეთი-1913“ (ფოთი), „მერცხალი“ (ოზურგეთი) — „სამგურალი“ (წყალტუბო), „ქუთაისი“ (ქუთაისი) — „ლილა“ (გორი), „სიონი“ (ბოლნისი) — „ცხუმი“ (სოხუმი), „მრეტი“ (თბილისი) — „გორი“ (რუსთავი). თბილისის „მარტვი“ მერვედღიანულ მატჩში „იმერიასა“ და „კერწანის“ შორის გამარჯვებულს შეხვედება.



ფორმულა შეიშალა

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის გენერალურმა მდივანმა იოზეფ ბლატერმა უკანასკნელ შეხვედრის გახმაურების შემდეგ პრესასთან შეხვედრაში განაცხადო, რომ ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარების ფორმულაზე, თუ ვინმე მოქმედებს ახლანდელ დებულებებზე უფროს ვარიანტს, ჩვენ მხოლოდ მოხარულნი ვიქნებით.

ბლატერმა აღიარა, რომ მსოფლიო ჩემპიონატის ახლანდელი ფორმულა მას არ მოსწონს და მიანიშნავს, რომ ფინალში უნდა გავიდეს არა 24, როგორც ახლა, არამედ 16 გუნდი, ვინაიდან ჩემპიონატის დაწყებით ნაწილში მერცხალად გაქონებულია. გენერალურმა მდივანმა ისიც აღნიშნა, რომ ახლანდელი ჩემპიონატის გადამწყვეტ ეტაპზე მან ვერ ნახა ტაქტიკური სიხალეები. მონაწილე გუნდები უპირველესად საერთაშორისო კარის უსაფრთხოებაზე ზრუნავენ და არსებითად ძველი ევროპული ყაიდის ფეხბურთის თამაშობენ.

ბლატერი მსაჯობის პრობლემასაც შეეხება და თქვა, რომ წითელი და ყვითელი ბარათების „ნილიზარმა“ წიგნებზე აღკვეთა ფეხბურთელთა ადრესიულობა. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და ინგლისის გუნდების შეხვედრამ ყველას დიდი კმაყოფილება მოჰგვარა. ამ მატჩში ყოველი მოთამაშე პატივს სცემდა მეტოქეს და ეს აუცილებლად მისასალმებელია. ბლატერი დაეთანხმა ჟურნალისტთა მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მსაჯობაში პრაქტიკულად მომენტი იყო; მაქცირად გააქტიურა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის მსაჯთა კომისია, რომელმაც ლმობიერება გამოიჩინა არბიტრთა მიმართ. გენერალური მდივნის აზრით, ურიგო არ იქნებოდა სპეციალური შეკრებებისა და საფრთხელო შეცდომების გამართვა გვერდითი მსაჯობისა და არბიტრებისათვის.



მოგვარება: ვინ, სად?..

ასპეკტის ეროვნულ საფეხბურთო ჩემპიონატში მონაწილე გუნდებში (უმალესი ჯგუფი), ბევრი მოგვარე თამაშობს, ჩვენი გაზეთის მკითხველები მოგვმართავენ თხოვნით, ერთად გავაცნოთ მათი სახელები და მიმდინარეობა, თუ რომელი ფეხბურთელი ვისი კლუბის ლისებს იტაცებს.

ავთანდილ ქანთარია („გურია“ ლანჩხუთი, დაბ. 1955 წ.), ალკაზ ქანთარია („მზიური“ გალი, 1954 წ.); თემურ ყიფიანი („იმერია“ თბილისი, 1968 წ.), ლევან ყიფიანი („მეგრული-1906“ თბილისი, 1971 წ.); გიო ჩხაიძე („გურია“ ლანჩხუთი, 1970 წ.), ვახტანგ ჩხაიძე („კოლხეთი“ ოზურგეთი, 1964 წ.); ზაზა ბაქრაძე („გურია“ ლანჩხუთი, 1968 წ.), ზაზა ბაქრაძე („კოლხეთი“ ხობი, 1963 წ.); მალხაზ მახარაძე (1963 წ.), ივანე მახარაძე (1970, ორივე — „ბათუმი“ ბათუმი), დავით მახარაძე („კოლხეთი-1913“ ფოთი, 1964 წ.); ნიკოლოზ ჩხეიძე („ქუთაისი“ ქუთაისი, 1968 წ.), პაატა ჩხეიძე („მეგრული-1906“ თბილისი, 1969 წ.); ალექსანდრე დვალაშვილი („ქუთაისი“ ქუთაისი, 1968 წ.), რამაზ დვალაშვილი („სანავარდო“ სამტრედი, 1971 წ.); კლიმენტი რუხაძე („სანავარდო“ სამტრედი, 1968 წ.), დავით რუხაძე („კოლხეთი“ ხობი, 1963 წ.); ზვიად ხორგუაშვილი (1967 წ.), გიორგი ხორგუაშვილი (1965 წ., ორივე — „ლილა“ გორი); ტარიელ კაპანაძე (1962 წ.), ავთანდილ კაპანაძე (1962 წ., ორივე — „გორი“ რუსთავი); ვარლამ ფესტენიძე (1963 წ.), ლევან ფესტენიძე (1972 წ., ორივე — „სამგურალი“ წყალტუბო); როლანდ მაქაყარი (1965 წ.), რევაზ მაქაყარი (1970 წ., ორივე — „ოდიში“ ზუგდიდი); სოსო მალანია („ცხუმი“ სოხუმი, 1964 წ.), მალხაზ მალანია („ოდიში“ ზუგდიდი, 1963 წ.); გიორგი ფარფალი („კოლხეთი“ ხობი, 1962 წ.), გიორგი ფარფალი („მზიური“ გალი, 1964 წ.); მალხაზ ჩხეიძე (1970 წ.), ბესიკ ჩხეიძე (1964 წ., ორივე — „ამირანი“ ოჩამჩირე); ივანე ლურჯ-

კია (1967 წ.), დავით ლურჯკია (1966 წ., ორივე — „მზიური“ გალი), ზაზა ლურჯკია („ამირანი“ ოჩამჩირე, 1971 წ.); ანატოლი კვამკვესი (1959 წ.), კობა კვამკვესი (1968 წ.), ზაზა კვამკვესი (1974 წ., სამივე — „მზიური“ გალი); თამაზ ყოლბაია (1967 წ.), ლაშა ყოლბაია (1972 წ., ორივე — „მზიური“ გალი); გიორგი ზუბეიშვილი (1960 წ.) ვაჟა ზუბეიშვილი (1962 წ., ორივე — „ლიახვი“ ცხინვალი); მელიქ სანაკოვე (1968 წ.), თემურაზ სანაკოვე (1972 წ., ორივე — „ლიახვი“ ცხინვალი); ვალდემარ ჯიორგო (1963 წ.), ალან ჯიორგო (1963 წ., ორივე — „ლიახვი“ ცხინვალი); ბესარიონ თევზაძე („ივერია“ ხაშური, 1967 წ.), გერარდ თევზაძე („ოდიში“ ზუგდიდი, 1964 წ.), ენუქი თევზაძე („კოლხეთი“ ხობი, 1959 წ.); კობა აბშიძე („ივერია“ ხაშური, 1964 წ.), პაატა აბშიძე („სანავარდო“ სამტრედი, 1967 წ.); მურთაზ ხურცილაძე („კოლხეთი“ ხობი, 1957 წ.), ერისო ხურცილაძე („მზიური“ გალი, 1963 წ.); ზურაბ ნასუაშვილი („ლიახვი“ ცხინვალი, 1973 წ.), ივანე ნასუაშვილი („მერცხალი“ ოზურგეთი, 1969 წ.); გიორგი ჯიშკარიანი („იმერია“ თბილისი, 1967 წ.), მიხეილ ჯიშკარიანი („ცხუმი“ სოხუმი, 1969 წ.); თენგიზ სიჭინავა („ცხუმი“ სოხუმი, 1972 წ.), იური სიჭინავა („კოლხეთი“ ხობი, 1963 წ.); ივანე ბერაძე („კოლხეთი“ ხობი, 1968 წ.), ბესიკ ბერაძე („სამგურალი“ წყალტუბო, 1968 წ.); ჭაბუკი იბშიძე (1965 წ.), რატი იბშიძე (1971 წ., ორივე — „სამგურალი“ წყალტუბო); მამუკა გვასალია („კოლხეთი-1913“ ფოთი, 1967 წ.), ელდარ გვასალია („კოლხეთი“ ხობი, 1972 წ.); მერაბ შამათავა („კოლხეთი-1913“ ფოთი, 1961 წ.), მურთაზ შამათავა („ამირანი“ ოჩამჩირე, 1963 წ.); რამაზ გოგაძე (1966 წ.), პაატა გოგაძე (1968 წ., ორივე — „ივერია“ ხაშური).

„ლელო“ ფეხბურთის განყოფილება.

ბარათები. ბარათები. ბარათები.

განვლილი მსოფლიო ჩემპიონატის ყველაზე „მდიდარი“ გამოდგა თამაშის წესების დარღვევების მხრივ. მსაჯები პირდაპირ ასრულებდნენ ფიფას მიითქვამს უნებური თამაშის აღსაყვადი და მთელი ჩემპიონატის მანძილზე 164 ყვითელი და 16 წითელი ბარათი „უჩვენეს“ ფეხბურთელებს.

არბიტრთა საერთო აზრით, ყველაზე უნებური იყო არგენტინის ნაკრები, რომლის ფეხბურთელებმაც 23 ყვითელი და 3 წითელი ბარათი დაიმსახურეს. ყველაზე კორექტულ გუნდად აღიარეს შოტლანდიის ნაკრები, რომლის წევრებიც მხოლოდ სამჯერ დაჯარიმდნენ ყვითელი ბარათით. არც ერთი ყვითელი ბარათი არ მიუღია ბელგიის ნაკრებს, მაგრამ მინდვრიდან გააძევეს გუნდის ვეტერანი გარეკი.

ენახთ როგორ გამოიყურება ეს არასასიამოვნო ცხრილი:

	ყვ.	წ.
არგენტინა	23	3
კამერუნი	18	2
ჩადი	12	1
ავსტრია	11	1
ბრაზილია	7	1

იუგოსლავია	7	1
გერ	7	1
ს. კორეა	6	1
არ.გს	5	1
პოლონია	4	1
სსრ კავშირი	4	1
ბელგია	—	1
ურუგვაი	10	—
რუმინეთი	7	—
ინგლისი	6	—
იტალია	6	—
კოსტა-რიკა	6	—
კოლუმბია	5	—
ეგვიპტე	4	—
ესპანეთი	4	—
ირლანდია	4	—
შვეიცია	4	—
შოტლანდია	8	—

ჩემპიონატის ყველაზე არაკორექტულ ფეხბურთელთა სიას სათავეში უდგანან არგენტინელი მენ-სონი და კამერუნელი კანი ბიკი. ისინი 2-2-ჯერ გააფრთხილეს და თითოჯერ გააძევეს მინდვრიდან. სამ სამი გაფრთხილება აქვთ ბრემსს (გერ) და სერისელას (არგენტინა). 28 ფეხბურთელი 2-2-ჯერ არის გაფრთხილებული.

ვინ არის ჩემპიონი?

მსოფლიოს ახალმა ჩემპიონმა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდმა, 7 მატჩში მხოლოდ ქულა დაკარგა და ყველაზე მეტი გოლი გაიტანა. დაავიწყდათ ჩემპიონატის „სატურნო ცხრილი“. სადაც 52-ვე მატჩის შედეგია მოცემული:

	თ.	გ.	ფ.	ბ.	ქ.
1. გერ	7	6	0	1	15:3 12
2. იტალია	7	6	1	2	5:4 8
3. არგენტინა	7	3	2	2	8:6 8
4. ინგლისი	5	3	0	2	10:5 6
5. ჩადი	5	3	0	2	8:6 6
6. იუგოსლავია	5	3	0	2	8:6 6
7. ბრაზილია	4	3	0	1	4:2 6
8. კამერუნი	5	3	0	2	7:5 5
9. ესპანეთი	4	2	2	1	7:5 5
10. ირლანდია	5	1	1	1	4:2 5
11. ბელგია	4	2	0	2	4:6 4
12. კოსტა-რიკა	4	2	0	2	4:6 4
13. რუმინეთი	4	1	1	2	1:5 4
14. კოლუმბია	4	1	1	2	1:5 4
15. პოლონია	4	0	3	1	3:8 3
16. ურუგვაი	4	1	1	2	2:5 3
17. სსრ კავშირი	3	1	0	2	4:5 2
18-19. ავსტრია	3	1	0	2	2:8 2
18-19. შოტლანდია	3	1	0	2	2:8 2
20. ეგვიპტე	3	0	2	1	1:2 2
21. შვეიცია	3	0	0	3	3:8 0
22. ს. კორეა	3	0	0	3	1:8 0
23. აშშ	3	0	0	3	2:5 0
24. არ. გს.	3	0	0	3	2:11 0

თუ ამ ცხრილს დაავიწყდათ, ნახავთ, რომ თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმების სერიების შემდეგ დამარცხებულ გუნდებს ქულა არ ეწერებათ, გამარჯვებულებს კი პირიქით, ორი ქულა ემატებათ. მაგრამ, თუ ამ შეხვედრების შედეგებს განსახილველად ძირითადი დროის მიხედვით, ცხრილის ზედა ნაწილი მკვეთრად შეიცვლება.

ჩემპიონები გახდებიან იტალიელები — ასეთი ათვლით მათ 13 ქულა ექნებათ. ქულის დაკარგავს და მეორე ადგილზე გადინაცვლებს გერ-ს ნაკრები. ინგლისელები 9 ქულას „დააგროვენ“ და მესამე ადგილს „მოიპოვებენ“. ჩემპიონატის პრიზიტებს, არგენტინელებმა, ორი მატჩი მოიგეს პენალტებით (იუგოსლავიასთან და იტალიასთან) და ამიტომ მათ 2 ქულა დააკლდებოდათ. ეს კი არგენტინელებს მე-5 ადგილზე „გადააგდებდა“. მეოთხე ადგილი იუგოსლავიელებს დაეზღო. რა თქმა უნდა, ქულების ასეთი ანგარიში პირობითია და მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის გამოდგება, რომ, ვთქვათ, გული დაიმშვიდონ ბრაზილელთა გულშემატკივრებმა, რომელთა გუნდმაც ოთხ მატჩში მხოლოდ 2 ქულა დაკარგა და მე-5 — მე-8 ადგილებს იყოფს იმ გუნდებთან, რომლებმაც ერთი შეხვედრით მეტი ჩაატარეს. იტალიელთა გულშემატკივრებს ეს ცხრილი სასიამოვნო განცდას დაუტოვებს, სსრ კავშირისას კი, როგორც არ უნდა იანგარიშო, ვერაფრით გაახარებს.

დუშანბალი

ფეხბურთელები

ირანში


ირანის ისლამური რესპუბლიკიდან შინ დაბრუნდა ლეონიდე „პამირის“ ფეხბურთელთა კოლექტივი, რომელმაც ამ ქვეყანაში 3 ანგარიშით საერთაშორისო მატჩი გამართა ადგილობრივი გუნდებთან. იმ უბედურების შემდეგ, რაც მიწისძვრამ თავს დაატყდა ირანს, ამ ქვეყანას მრავალი საჩუქრული უფუდის დაზარალებულს ზღაპრით, მათ შორის საბჭოთა კავშირით. „პამირმა“ პირველი შეხვედრა გამართა ქალაქ დეზიში და გამარჯვება ანგარიშით 2:1, მეორე თამაში ო.ფაშანში ფრედ დამთავრდა — 0:0 და, ბოლოს, თეირანის 100-ათასიან სტადიონზე ლეონიდელები შეხვედრენ ირანის ეროვნულ ნაკრებს და გამარჯვებს ანგარიშით 2:0.

პელოუ, ამერიკა!

დასრულდა, დამთავრდა, ჩათავდა... ერთი თვეა ნორმალურად არ გვიცნობია. 52 მატჩი „ჩაატარა“ სულმოუთქმელად თითოეულმა ჩვენ-განმა. როგორი საქმეა? აი თვითონ ფინალისტებმა — არგენტინელებმა და დასავლეთგერმანელებმა — სულ შეიღ-შეიღვერ ითამაშეს. ისე კი, ხუმრობა იქნებ იყოს, და ტელევიზიამ ამჯერად მართლაც კარგი საჩუქარი გაუკეთა ფეხბურთის მოყვარულებს — 52-ვე შეხვედრის ტელეტრანსლაცია მოაწყო რომიდან, მილან-დან, გენუიდან, ნეაპოლიდან, პალერმო-დან, ტურინიდან, ბარიდან... აი ეს იყო მხოლოდ „ადიდისი“ და „პანასინის“ ფირმების რეკლამა კინოლამ „თავის ქალა აგვა-და“ ამ გაგანია სიტყვით. ეჰ, „დაი-ლოცოს“ ჩვენი „ისანისა“ და „ამი-

რანის“ ფაბრიკები. მათ ნაწარმს არც ტელევიკლამა სჭირდება და არც სტადიონის საბანკ ბილიკებზე გადაჭიმული ფერად-ფერადი სარეკლამო ფირნიშები. მართლაც, აბა ვის უნდა შენი „კიკა-კოლა“, „ჟი-ლიტი“ თუ „ფილიპისი“? გაგვაოცა კამერუნის გუნდმა, გაგვაოცა საბჭოთა ნაკრებმა, გაგვაოცა ვალერი ნეპომნიაჩიჩი, გაგვაოცა ვალერი 11-მ — ლობა-ნოვსკიმ, გაგვაოცა როჟე მილამ, გაგვაოცა „ჟიველიმა“ ახრიკ ცვე-ნიამ, გაგვაოცა „ენაწყლიანმა“ ვლადი-მერ მასლაჩენკომ (უკვე მერამდე-ნელ)... თურმე ნუ იტყვით, საბჭოთა კავშირი „იტალია-90“-ის ჩემპიონი გამხდარა... საკდესის ფორ-

რეპორტიორი იგორ ჟუტინის ნამუშევრებში. მეორე „ოქრო“ უდიდესი „დერეჟისი“ მეორე წარმომადგენელს ლარისა ლიტინეცკისა მოუპოვებია სილამაზის კონკურსში, როდესაც მისთვის „მის უორლდ კაპ-90“-ს საპატიო წოდება მიუნიჭებიათ. ახალი ჩემპიონის — დასავლეთ-გერმანელთა გუნდის მთავარმა მწვრთნელმა, დიდებულმა ფრანც ბეკენბაუერმა ჯერ კიდევ ტურნი-რის დაწყებამდე განაცხადა, რომ ნაკრების ხელმძღვანელის პოსტს დატოვებდა. აღრევე გამოთქვა იტალიაში მუშაობის წარვილი ვალერი ლობანოვსკიმაც. წარმოიდგინეთ! რა წარმატებით გადასცემს იგი საფეხბურთო იტალიის თავის მდიდარ ცოდნა-გამოცდილებას (მე-17 ადგილი 24 გუნდს შორის). ისე კი, ეგებ კიეველთა ყოფილ-მა მარცხენა გარემარბმა არ იქნა-როს და ყოფილ სამარყანდელ ფეხ-ბურთელთან მომავალი ჩემპიონა-ტისთვის ერთობლივი საბჭოთა —



პრეზიდენტის ტურნირი გზა სსრკ-ში

რეზონანსი ქალაქის გულშემატკივრებმა იცინა, აზოვში მოკადრად კალთა მხოლოდ ჩემპიონატის საზონატო ტურნირი წარმატებით გამოვიდა ჩვენი თანამემამულე, ხაერაშორის ოსტატი — ქეთევან კახიანი. მან ა. გალიაშვიტთან ერთად 17 შესაძლებელიდან 11,5 ქულით I-II ადგილები გაინაწილა და პრეტენდენტის სახელი მოიპოვა. კახიანის მწვერვალზე, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს — იმერტი მამარაშვილს უთხოვეთ შთაბეჭდილება გაეზარებინა ამ ტურნირის შესახებ.

საზონატო ტურნირის უგანხატორობა სახეობრივ ღონისძიებად დაიშალა. ქალაქის გულშემატკივრებმა პირობა შეუქმნეს სათამაშოდ, — ეს გ. მაკაშვილი, — კენჭისყრა ჩატარდა ისე, რომ 5 საბჭოთა-ქალაქი ბოლო სამ ტურამდე იმედგასწავლიდა ერთმანეთს. კახიანს მეექვსე ნომერი ერგო და, როგორც შედეგად, შუა ტურნირისას ერთ-ერთი გაზეთში წავიკითხე, 1990 წელს ციფრი „6“ ბედნიერად უფიქროს.

კახიანი პირველ ტურში ბრუსტ-მანს დაუხვდა.

როგორც იცით, ტურნირში მონაწილეობდა დიდოსტატი ქეთევან არაბაძეც. მეორე ტურში კახიანი სწორედ მას შეხვდა. ესპანურ პარტიში მან მოთამაშა კახიანმა ლაზიერი შესწირა მოწინააღმდეგის ეტლსა და ფეხურაში და შეტევა წამოიწყო. იგი ბევრს ფიქრობდა და უიმედო პოზიციებში ალამი ჩამოუვარდა.

ქეთევან არაბაძეც, თუ პოზიციები ამის საშუალებას არ იძლეოდა, ამიტომ სულ ლიდერობა ჯერ-

ფში იმყოფებოდა. იმედი გვქონდა, რომ კახიანი, რომელიც გამოირჩევა ფიზიკური გამძლეობით, ტურნირის ბოლოში მოწინააღმდეგეებზე მეტ ენერგიას შეინარჩუნებდა და წარმატების რეალური შანსი ექნებოდა. ბოლო სამ ტურამდე ჩვენი ჩანაფიქრით წარმართა, თუმცა უნდა ითქვას, რომ მის ბოლო 5 ტურში 4,5 ქული ალბათ დასჭირდა პრეტენდენტის ტურნირში მონაწილეობის უფლების მოსაპოვებლად.

მისთვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბოლო ტურის პარტია. სადაც, მოწინააღმდეგედ საკმაოდ ძლიერი მოკადრად, საერთაშორისო დიდოსტატი, ოლიმპიური ჩემპიონი უნგრელი ილდიკო მადლი წყავდა. ქეთევანს ყინვი ზღვს აძლევდა. მისი მეტოქე კი მხოლოდ გამარჯვების შემთხვევაში ეწეოდა მას. ესპანურ პარტიში შეხვედრის მოთამაშე ქართველმა მოკადრად შესწირა მეტოქეს ხარისხი და საკმაოდ კარგი კომპენსაცია მიიღო. მადლისთვის ეტყობა მოულოდნელი იყო ხარისხის შეწირვა,

ბევრს ფიქრობდა და ცენტრში პასიურად თამაშობდა, რაც შესანიშნავად გამოიყენა კახიანმა და ტაქტიკური კომბინაციით ჯერ ლაზიერი მოიგო, შემდეგ კი პარტიაც.

ბოლო ტურში გაიმარჯვა ა. გალიაშვიტმაც ამერიკელ ბრუსტმანთან შეხვედრაში და კახიანთან ერთად I-II ადგილები გაიყო.

11 ქულით პრეტენდენტობა ტურნირის მესამე სახური წილად ზედა ჩემპიონატისკენ ე. კლიმოვს. აღსანიშნავია, რომ კახიანი ყველაზე სტაბილურად თამაშობდა. მხოლოდ ერთ პარტიაში დამარცხდა (სვეტლანა პრუდნიკოვასთან) 7 კი მოიგო და 9 ყინვით დამთავრა. ამ წარმატებისთვის კახიანს უახლოეს ქვეყნებს ფიდე მიანიჭებს საერთაშორისო დიდოსტატის წოდებას.

რაც შეეხება ქეთევან არაბაძის, ცუდად აიღო სტარტი — დამარცხდა პრუდნიკოვასთან, კახიანთან და გალიაშვიტთან. მართალია, შემდეგ გასაკუთრად იბრძოდა, თითქმის დაეწვია ვიდრე ლიდერებს. მაგრამ ბოლოსწინა ტურში დასანანი მარცხი განიცადა და სამეფოში გასვლის შანსი დაკარგა. საბოლოოდ მან 10 ქულით V-VII ადგილები გაიყო. მის თამაშზე დიდი გავლენა იქონია ზორბა ცაიტირებმა. მან საბჭოთა მოკადრად შეხვედრაში 5-დან მხოლოდ ერთი ქული აიღო (დამარცხდა უსკოვს). რაც შეეხება უსკოვს, მოკადრადკენთან შეხვე-

დრებს. კახიანმა და არაბაძემ 9-9 ქული დააგროვეს და I-II ადგილები გაიყვეს.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ შუა ტურნირში ჩვენს დელეგაციას შეუერთდა საერთაშორისო ოსტატი თამარ ხუგაშვილი, რომელმაც მორალური და ფსიქოლოგიური დახმარება გაუწია ჩვენს მოკადრეებს. ვგორბობდით რესპუბლიკის სპორტკომიტეტის ყოველდღიურ დაინტერესებას და ხელის შეწყობას.

დღეისათვის უკვე გარკვეულია 8 პრეტენდენტობა 5 მონაწილე. ესენია: ნ. იოსელიანი, ე. ახმელოვსკაია-დონალდსონი (აშშ), ქ. კახიანი, ა. გალიაშვიტი და ე. კლიმოვა (ჩეხოსლოვაკია). კიდევ სამი მონაწილე გაირკვევა მეორე საზონატო ტურის ტურნირიდან, რომელიც ახლახანს დაიწყო მალაიზიაში. უნდა აღინიშნოს, რომ თუ პოლგარებმა (უჟა და იუდიტი) თანხმობა განაცხადეს ამ საზონატო ტურნირში მონაწილეობაზე, მაშინ 10 მონაწილედ გაიზარდება პრეტენდენტთა რიცხვი. რომელიც სექტემბერში დაიწყება (ადგილი ჯერჯერობით უცნობია), თუ არადა მაშინ იგი 8 მონაწილედ შორის ჩატარდება 2 წრედ, სადაც I-II ადგილებზე გასული მოკადრები 1991 წლის ოქტომბრამდე უნდა შეხვდნენ ერთმანეთს და გამარჯვებული მატჩში შეხვდება მსოფლიო ჩემპიონს მიაა ჩიბურდანიძეს. ამას გარ-

და პრეტენდენტთა ტურნირში 2 საუკეთესო სპორტსმენი მონაწილეობენ: უკრაინელი მანუილ ბაჩუშვილი და ლიუბოვ სკოტოვა. იმედი გვაქვს, რომ ისინი დაეხმარება ჩვენს მოკადრებს.

მისი თამაშით ხავედრით კმაყოფილი ვარ. ძალზე მგრძნობიარე ხასიათი აქვს, უნარი შესწევს რაც უფრო დამაბული პარტიაა, მით მეტი კონცენტრაციით თამაშის და უარესი პოზიცია თავის სასარგებლოდ გადაწყვიტოს. მისთვის ძალზე, სასარგებლო იყო საქართველოს ერთ-ერთი ჩემპიონატში მონაწილეობა. ისეთ კორიფეებთან თამაშის შემდეგ როგორებიც არიან: ნონა გაფრიინაშვილი, ნანა ალექსანდრია, ნანა იოსელიანი, ნინო გურიელი, ქეთევან არაბაძე, კახიანს აზოვში თამაში არ გაკვირვებია. იგი თანდათანობით ხეწს თამაშს და მისი სახით ქალთა პარტია შეემატა საიმედო დიდოსტატი, რომელიც ღირსეულად დაიცავს საქართველოს ღირსებას. ამის საფუძველს იძლევა მისი სიბეჯითე, შრომისუნარიანობა და ქალაქის სიყვარული.

რაც შეეხება ჩვენს მომავალ გემებს, 15 აგვისტოდან ქეთილი გამოვა 20 წლამდე ასაკის გოგონათა მსოფლიო ჩემპიონატზე, რომელიც ჩილეში დაიწყება და შეეცდება თავისი ტიტულის დაცვას. შემდეგ კი წინ პრეტენდენტთა ტურნირია.

საუბარი ჩაიწერა
ზაზილ შაჰაპიძე.

ფინიში მოხლანთა

პარტი. „ტურ დე ფრანსი“; რომელშიც დროებით შეიცვალა გაცხადდა, ისევე საფრანგეთში გზებზე დაიბრუნდა. მეათე ეტაპის სტარტი უნებურად მოეწყო, ფინიში კი სამხრეთ საფრანგეთის ქალაქ სენ-ჟერმეში, რომელიც ევროპის ერთ-

ერთ უმაღლესი მწვერვალის მონბლანის მუხობლად მდებარეობს. დისტანციის სიგრძე იყო 118,5 კილომეტრი და მის დაფარვას ფრანგმა ტიერ კლავერიომ 3:24. 31 მინუტში (საშუალო სისწრაფე — 34, 764 კმ საათში). ფინიშის ხაზ-

თან მეორე მიიჭრა უკვე ამპლური (გარე), რომელიც გამარჯვებულს 1,54 წუთით ჩამორჩა. ასეთივე შედეგი აღმოაჩნდა მესამე ადგილზე გასულ ფრანგ შარლ მოტეს. საბჭოთა სპორტსმენებს შორის საუკეთესო შედეგი — 36-ე ადგილი ჰქონდა გორკელ დიმიტრი კონიშევს.

ეტაპი რბოლის ერთპიროვნული ლიდერისთვის კინადელ სტივ ბაუერისთვის საბედისწერო გამოდგა. მან მესამე ადგილზე გადაინაცვლა.

ყვითელი მაისური კი ფრანგმა რონან პენსემ ჩაიცვა — 42:46.04. მეორე ადგილზე იტალიელი კლაუდიო კიამპი — 42:46.54. ბაუერის დროა — 42:47.25. საგრძნობლად გაიუმჯობესა მდგომარეობა ლენინგრადელმა ვიანესლავ ეკიმოვმა, რომელიც მანამდე საბჭოთა ველოსიპედისტებს შორის ყველაზე უკეთ გამოდიოდა. ახლა მას 46-ე შედეგი აქვს და ლიდერს 17 წუთითა და 47 წამით ჩამორჩება.

ნა-90



აი, როგორია არსოვლ შპარხენიკი

გთავაზობთ ნა-ს 1989-90 წლის ჩემპიონატის პირველი-მეორე მერვედფინალური და მეოთხედფინალური მატჩების შედეგებს.

მეორედფინალური მატჩები: აღმოსავლეთი კონფედერაცია — „დუბროვნიკის ბისტონი“ — „ინდიანა პენინსის“ — 3:0 (104:92, 100:87, 108:96); „ჩიკაგო ბულსი“ — „მილუოკი ბაქსი“ — 3:1 (111:97, 109:102, 112:119; 110:86); „ბოსტონ სელტიკსი“ — „ნიუ-იორკ ნიკერბოკსი“ — 2:3 (116:105, 157:128; 99:102; 108:135; 114:121); „ფილადელფია 76“ — „კლივლენდ კავალიერსი“ — 3:2 (111:106; 107:101, 95:122; 96:108; 113:97); დასავლეთი კონფედერაცია: „ლოს-ანჯელეს ლივერსი“ — „პორტლენდ ტრეილ ბლაიზი“ — 3:1 (101:89; 104:100; 108:114; 109:88); „პორტლენდ ტრეილ ბლაიზი“ — „დალას მავერისი“ — 3:0 (109:102, 114:107, 131:120); „სან-ანტონიო სპურსი“ — „დენვერ ნაგეთსი“ — 3:0 (119:103, 129:120, 131:120); „ფინიქს სანზი“ — „იუტა ჯაზი“ — 3:2 (96:113, 105:87, 120:105, 94:105, 104:102). (პლეი-ოფის სერიის პირველ ეტაპზე მატჩები ტარდება 3 გამარჯვებამდე).

არსოვლ შპარხენიკი — ყოფილი კულტურისტი, მასხიობდა და ბიზნესმენი — ცხოვრებაში ყველაფერს მიიღწია მტკიცე ხასიათის, ენერგიისა და სიჯიუტის წყალობით.

არსოვლი დაიბადა ავსტრიის ქალაქ ტალში, ღარიბ ოჯახში. კულტურისში ვარჯიში ცამეტი წლისამ დაიწყო. ამ გზით აპირებდა იგი „ხალხში გასვლას“ და უნდა ითქვას, არც შემცდარა. შეუპოვარმა ვარჯიშმა იგი ევროპის უდიდეს კულტურისტი შორის დააყენა, 1976 წელს კი „მისტერ სამყაროს“ ტიტულიც მოიპოვა. მეორე საცხოვრებლად ამერიკაში გადავიდა. პოლიუდმა მანამდე შეამჩნია იშვიათი აღნაგობის მქონე კულტურისტი და 1964 წელს ფილმში გადაღებდა „შესთავაზა“ („პერკუსიონი ნიუ-იორკში ჩადის“). ნამდვილი „ვარსკვლავის“ სახელი მას მოუტანეს კინოფილმებმა: „კონანი — ბარბაროსი“ (1982 წელი), „ტერმინატორი“

(1984 წელი), „წითელი სიციხე“ (1988 წელი) და „ტყუპისცალბე“ (1988 წელი).

— კმაყოფილი ვარ, რომ ჩემი თამაშით ვიღაცას სიამოვნებას ვანიჭებ, — ხშირად ამბობს იგი, — მაგრამ დიდი წარმოდგენა, კინოსახიობებაზე უნდა გამოვიტყდეთ, არა მაქვს.

შეარცხნევი კარიერაზე ფიქრობს. ამჟამად იგი მონაწილეობს საესტრადო შოუში, იღებენ კინო-გამოცდილებაში „პოლიციელები საბავშვო ბაღში“, ყოველდღიურად ვარჯიშობს და დასაქმებულია მრავალმილიონიანი ბიზნესით. მაგრამ არც ეს არის ყველაფერი. შპარხენიკი ამასთან, აშშ-ს პრეზიდენტისა და სპორტის მინისტრის ხელმძღვანელის ფუნქციებს ასრულებს.

42 წლის კუნთებიან მილიონერს ცხოვრება კიბედ მიაჩნია, რომელიც აღმოაჩინა სპორტის, ბიზნესისა და პოლიტიკის მწვერვალზე.

უნდა აიყვანოს. მუდამ შესაშურ სპორტულ ფორმაში მყოფმა შპარხენიკმა კულტურისში უკვე მწვერვალს მიიღწია. მან ფაქტობრივად ბიზნესის დარგშიც ბევრი მოასწრო და ახლა პოლიტიკურ კარიერაზე იცნებობს.

მარია შრაივერთან დაქორწინების შემდეგ იგი კინემატოგრაფიულ ოჯახს დაუბრუნდა, თუმცა ოფიციალური თანამდებობა რესპუბლიკელების მთავრობაში მიიღო. შპარხენიკი უკვე დაიწერა წიგნი. ინგლისის ერთ-ერთმა ბულვარულმა გაზეთმა ამ წიგნის რამდენიმე თავი გადმოიბეჭდა. შპარხენიკი წიგნით უმეაყოფილა, მიაჩნია, რომ ავტორი ბევრს ისეთ დეტალს იგონებს მისი პირადი ცხოვრებიდან, რაც სინამდვილეში არც კი მომხდარა. განაწყენებულმა კულტურისტი უჩივლა გაზეთს და 30 ათასი გირანქა სტერლინგი ჯარიმა გადაახდევინა...

სპორტპროგნოზი, 29-ე ტირაშის პროგნოზი (20-21 ივლისი)		პროგნოზი		
სსრკ პაპშვირის თანხის გათვალისწინებით (მეთექვსმეტედფინალი)				
1. „არარატი“ (ერევანი) — ახკ (როსტოვი) საპასუხო შეხვედრა	20.VII	40	50	10
2. „ჩერნომორეცი“ (ოდესა) — „მაშუკი“ (პიატიგორსკი) საპასუხო შეხვედრა	20.VII	50	40	10
3. „როტორი“ (ვოლგოგრადი) — „გასტელო“ (უჟა) საპასუხო შეხვედრა	20.VII	30	60	10
4. „შახტორი“ (დონეცკი) — „ცელინიკი“ (ცელინოგრადი) საპასუხო შეხვედრა	20.VII	50	40	10
5. „ტექსტილშიკი“ (კამიშინი) — „დინამო“ (კიევი) პირველი შეხვედრა	20.VII	20	50	30
6. „მეტალისტი“ (ხარკოვი) — „კარპატი“ (ლვოვი) საპასუხო შეხვედრა	21.VII	40	50	10
სსრკ პაპშვირის ჩემპიონატი ფეხბურთში (მეორე ლიგა, X ზონა)				
7. „შახტორი“ (დონეცკი-კუზნეცი) — ახკ (ხაბაროვსკი)	21.VII	30	60	10
8. „ჩიკალოვეცი“ (ნოვოსიბირსკი) — „დოკომოტივი“ (ჩიბა)	21.VII	40	50	10
9. „ტომი“ (ტომსკი) — „აზური“ (ამურის კომსომოლსკი)	21.VII	20	70	10
10. „ხელგეგა“ (უფან-უდე) — „სახალინი“ (იუჟნო-სახალინსკი)	21.VII	40	50	10
11. „ანგარა“ (ანგარსკი) — „ლუჩი“ (ვლადივოსტოკი)	21.VII	10	70	20
12. „ავტომობილისტი“ (კრასნოიარსკი) — „ვულკანი“ (პეტროპავლოვსკი-ჩიბატსკი)	21.VII	20	70	10
13. „მეტალურგი“ (ნოვოკუზნეცი) — „ტორპედო“ (რუბცოვსკი)	21.VII	20	70	10

შენიშვნა: თანხის გათვალისწინებით თამაშებში ანგარიში მიიღება ძირითადი დრო-შედეგის მიხედვით.

შენიშვნა: თანხის გათვალისწინებით თამაშებში ანგარიშში მიიღება ძირითადი დროის შედეგები.

ნაგზრთა ნილისკარა

ათენი. მოეწყო წყალბურთულ-თა მსოფლიო ჩემპიონატის (ჩატარება 1991 წელს ავსტრალიის ქალაქ პერტში) ჯგუფური ტურნირების წილისყრა. აი მისი შედეგები: პირველი ჯგუფი — სსრ კავშირი, საბერძნეთი, იტალია, ახალი ზელანდია; მეორე ჯგუფი — იუგოსლავია, ესპანეთი, რუმინეთი და აზიის რეგიონის გამარჯვებული; მესამე ჯგუფი — აშშ, ავსტრალია, საფრანგეთი და საერთაშორისო შესარჩევი ტურში გამარჯვებული; მეოთხე ჯგუფი — გერ, უნგრეთი, კუბა და აფრიკის რეგიონის გამარჯვებული.

რედაქტორი
თ. ბაჩაჩილაძე

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380000,
თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14,
დებეშვიტის სახლი, „ლელა“.

რედაქციის ბალანსი:
წერილების განყოფილება — 83-97-55,
სამხედრო — 83-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-54,
„მერაი“ — 93-97-28, „მარტვი“ — 93-97-27.

ჩვენი
060435

საქართველოს კვ. ც.-ის გამოცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენისა და სპორტის მინისტრის, მ. კოსტავას ქ. 14,
აქედება ოფსეტური წესით სავაჭრო კორპუსის: ხაზარაულის, 29.
ხელნაწერი ავტორებს არ უბრუნდებათ.
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უფ 08 779